



**COVID-19
VACCINE**
Public Health
Advice

COVID-19-ის ვაქცინა

მნიშვნელოვანი ინფორმაცია
Moderna-ს COVID-19-ის
საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ

ვერსია 2

2021 წლის 10 თებერვალი



Rialtas na hÉireann
Government of Ireland

ბროშურის შესახებ

ბროშურაში მოცემულია ინფორმაცია COVID-19-ის (კორონავირუსის) ვაქცინის შესახებ. გაიგებთ:

- რა არის COVID-19
- რა არის COVID-19-ის ვაქცინა
- ვის შესთავაზებენ მას პირველ რიგში და რატომ
- რატომ არის ვაქცინის გაკეთება მნიშვნელოვანი
- ვინ არ უნდა გაიკეთოს ვაქცინა და ვინ უნდა გადადოს მისი გაკეთება
- ვაქცინის უსაფრთხოება და მისი გვერდითი ეფექტები
- სად შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ბროშურა. ვაქცინის შესახებ ასევე შეგიძლიათ გაესაუბროთ ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტს, მაგალითად, ექიმს, თქვენი ოჯახის ექიმს ან ფარმაცევტს.

რა არის COVID-19?

COVID-19 არის დაავადება, რომელმაც შეიძლება დააზიანოს თქვენი ფილტვები, სასუნთქი გზები და ზოგჯერ, სხეულის სხვა ნაწილებიც. ამას იწვევს ვირუსი, სახელწოდებით - კორონავირუსი.

COVID-19 ადვილად გადამდებია. ის ვრცელდება ჰაერში წვეთების მეშვეობით, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის მიერ დახველების ან დაცემინების შედეგად, ან როცა ადამიანი ეხება ზედაპირს, რომელზეც ეს წვეთები მოხვდა და ამის შემდეგ ეხება თვალებს, ცხვირს ან პირს. COVID-19-მა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დაავადება, საჭირო გახდეს ჰოსპიტალიზაცია და სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს.

COVID-19-ის საერთო სიმპტომებია:

- ცხელება (მაღალი სიცხე - 38 გრადუსი ან მეტი)
- ახალი ტიპის ხველა - ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის ხველა, არა მხოლოდ მშრალი
- ჰაერის უკმარისობა ან სუნთქვის გაძნელება
- ყნოსვის ან გემოს შეგრძნების დაკარგვა ან შეცვლა - ამჩნევთ, რომ ვერაფრის სუნსა და გემოს ვერ გრძნობთ ან ყველაფერს სხვანაირი სუნი და გემო აქვს.

შეიძლება არ გქონდეთ ყველა ეს სიმპტომი ან შესაძლოა, ზოგადად, თავს იმაზე ცუდად გრძნობდეთ, ვიდრე ჩვეულებრივ. სიმპტომების გამოვლენას შესაძლოა 14 დღემდე დასჭირდეს. ეს სიმპტომები შეიძლება იყოს გაციების ან გრიპის მსგავსი.

თუ COVID-19-ის რომელიმე საერთო სიმპტომი გაქვთ, მოახდინეთ თვითიზოლაცია (დარჩით ოთახში) და დაურეკეთ თქვენი ოჯახის ექიმს. მათ შეუძლიათ უზრუნველყონ თქვენთვის COVID-19-ის ტესტის გაკეთება.

COVID-19-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებ-გვერდს www.HSE.ie/coronavirus

ან დაუკავშირდით HSELive-ს ნომერზე **1850 24 1850**.

ვის აქვს COVID-19-ით დაინფიცირების ყველაზე მაღალი რისკი?

65 და მეტი წლის ადამიანები და ისნი, ვისაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში სერიოზულად დაავადების უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან.

COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც ქრონიკული ავადმყოფებისთვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებებში ცხოვრობენ, სერიოზულად დაავადების ასევე მაღალი რისკი აქვთ, რადგან ვირუსი სწრაფად ვრცელდება ერთად მცხოვრებ ადამიანებს შორის.

სამედიცინო მუშაკებს COVID-19-ით დაინფიცირების უფრო მაღალი რისკი აქვთ, ვიდრე სხვებს.

რა არის COVID-19-ის ვაქცინა?

ვაქცინა არის ნივთიერება, რომელმაც უნდა გააძლიეროს იმუნიტეტი (დაიცვას) კონკრეტული დაავადების მიმართ. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა დაგიცავთ COVID-19-ის ვირუსისგან. ვაქცინის გაკეთების შემთხვევაში, ჩვენს საზოგადოებაში შემცირდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებშიც COVID-19 სერიოზულ ავადმყოფობას ან სიკვდილს გამოიწვევს. ვაქცინები ასწავლის თქვენს იმუნურ სისტემას დაავადებებისგან თავდაცვას. თქვენი იმუნური სისტემისთვის ამის სწავლა ვაქცინაციის საშუალებით გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე COVID-19-ით დაინფიცირების გზით.

ვის ვთავაზობთ ვაქცინას პირველ რიგში?

ჩვენ (ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანო) ვაქცინას პირველ რიგში იმ ადამიანებს ვთავაზობთ, რომლებსაც COVID-19-ით დაინფიცირების ყველაზე მაღალი რისკი აქვთ. ვაქცინის გაკეთება დაიწყება დაუყოვნებლივ, როგორც კი მას მივიღებთ ირლანდიაში.

ჯგუფების სრული ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:

www.gov.ie/covid19vaccine

მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინის გაკეთება თქვენს ნებაზეა დამოკიდებული, ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანო (HSE) დაბეჯითებით გირჩევთ, რომ ვაქცინა გაიკეთოთ მაშინვე, როგორც კი მას შემოგთავაზებთ. HSE ვაქცინას უფასოდ გთავაზობთ.

ვაქცინის გაკეთებამდე საჭიროა წაიკითხოთ ეს საინფორმაციო ბროშურა და პაციენტის საინფორმაციო ბუკლეტი. პაციენტის საინფორმაციო ბუკლეტი შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hse.ie/covid19vaccinePIL. ასევე, წინასწარ შეგიძლიათ გაესაუბროთ სამედიცინო პერსონალს. თუ ვაქცინის გაკეთებას გადაწყვეტთ, უნდა გასცეთ თანხმობა, რომელიც აღირიცხება.

ვინ არის ჩემი ვაქცინატორი?

თქვენი ვაქცინატორი არის ადამიანი, რომელიც ვაქცინას გაგიკეთებთ. ის HSE-სთან მომუშავე მომზადებული სამედიცინო პროფესიონალია, როგორცაა ექთანი, ექიმი ან ფარმაცევტი.

რატომ არის მნიშვნელოვანი COVID-19-ის ვაქცინის გაკეთება?

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა COVID-19-ით გამოწვეული სერიოზული გართულებებისგან დაგიცავთ. მოსახლეობისთვის ვაქცინის შეთავაზების მიზანია ხალხის დაცვა და ამ ვირუსით გამოწვეული დაავადებისა და სიკვდილიანობის შემცირება.

თუ გადატანილი მაქვს COVID-19, ვაქცინა მაინც უნდა გავიკეთო?

დიახ. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 უკვე გქონდათ, ისევ შეიძლება დაინფიცირდეთ.

ვაქცინა COVID-19-ით ხელახალი დაინფიცირების რისკს შეამცირებს. თუნდაც COVID-19-ით კვლავ დაინფიცირდეთ, ვაქცინა თქვენი სიმპტომების სიმძიმეს შეამცირებს.

ამჟამად COVID-19 მაქვს. უნდა გავიკეთო თუ არა ვაქცინა?

არა. ვაქცინის გაკეთება უნდა გადადოთ, სანამ COVID-19-ისგან არ გამოჯანმრთელდებით.

ვაქცინა გაიკეთეთ:

- სიმპტომების პირველად გამოვლენის შემდეგ მინიმუმ ოთხ კვირაში, ან
- COVID-19-ის ტესტზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ოთხ კვირაში.

ვაქცინის გაკეთება

სად შეიძლება ვაქცინის გაკეთება?

ვაქცინაცია ჩაგიტარდება სპეციალური კლინიკაში, ან თქვენ ადგილობრივ კლინიკაში ან საზოგადოებრივ აფთიაქში.

თუ ქრონიკული ავადმყოფებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში ცხოვრობთ, ვაქცინის გაკეთებას ამ დაწესებულებაში შემოგთავაზებენ.

თუ წინა ხაზზე მომუშავე სამედიცინო მუშაკი ხართ, ვაქცინის მიღებას სამსახურში ან ვაქცინაციის კლინიკაში შეძლებთ.

რეკლამის ან პირდაპირი მოწვევის მეშვეობით შეგატყობინებთ, როდის დადგება თქვენი ჯერი, მიიღოთ COVID-19 ვაქცინა.

მნიშვნელოვანია, რომ მანამდე არ დაუკავშირდეთ HSE-ს ვაქცინაციის საკითხზე.

რა ვაქცინაა ხელმისაწვდომი?

ჩვენს მიერ შეთავაზებულ ვაქცინას ეწოდება Moderna-ს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა. მისი მწარმოებელია Moderna.

mRNA ვაქცინა თქვენს სხეულს ასწავლის, თუ როგორ გამოიმუშაოს ცილა, რომელიც იმუნურ პასუხს გასცემს, COVID-19-ის გამომწვევი ცოცხალი ვირუსის გამოყენების გარეშე.

ამის შემდეგ, თქვენი სხეული გამოიმუშავებს ანტისხეულებს, რომლებიც მას ინფექციასთან ბრძოლაში დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ მომავალში თქვენს სხეულში რეალური ვირუსი მოხვდება.

როგორ უნდა გაკეთდეს COVID-19-ის ვაქცინა?

COVID-19-ის ვაქცინა კეთდება მხრის ზედა ნაწილში ინექციის სახით. ამას რამდენიმე წუთი დასჭირდება.

COVID-19-ის ვაქცინის რამდენი დოზა დამჭირდება?

საუკეთესო დაცვისთვის COVID-19 ვაქცინის ორი დოზა დაგჭირდებათ. მეორე დოზა პირველი დოზის გაკეთებიდან 28 დღეში უნდა გაიკეთოთ (სრული ოთხი კვირა).

ვაქცინა უსაფრთხოა?

HSE იყენებს ვაქცინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უსაფრთხოებისა და ეფექტურობის აუცილებელ სტანდარტებს აკმაყოფილებს.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის ვაქცინების შემუშავება უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე ჩვეულებრივ, ჩვენს მიერ შეთავაზებულმა ვაქცინამ უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინის შემუშავებისა და დამტკიცებისთვის საჭირო ყველა ჩვეულებრივი ეტაპი გაიარა.

გამოსაყენებლად დამტკიცების მიზნით, COVID-19-ის ვაქცინამ გაიარა ყველა ის კლინიკური კვლევა და უსაფრთხოების შემოწმება, რომელსაც ყველა სხვა ლიცენზირებული მედიკამენტი გადის, უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენს მიერ შეთავაზებულ ვაქცინას ეწოდება Moderna-ს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა. ის:

- ✓ კლინიკური კვლევის ფარგლებში ათასობით ადამიანზე შემოწმდა.
- ✓ დააკმაყოფილა უსაფრთხოების, ხარისხისა და ეფექტურობის მკაცრი სტანდარტები, დამტკიცებულ და ლიცენზირებულ იქნა მარეგულირებელი ორგანოების მიერ. ირლანდიის შემთხვევაში მარეგულირებელ ორგანოს ევროპის მედიკამენტების სააგენტო (EMA) წარმოადგენს - დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს www.ema.europa.eu.

რა გვერდითი ეფექტები აქვს ვაქცინას?

როგორც ყველა სხვა მედიკამენტი, ვაქცინებიც შეიძლება იწვევდეს გვერდით ეფექტებს: ბევრი მათგანი მსუბუქიდან ზომიერ ფორმამდეა, მოკლევადიანია და ყველას არ აღენიშნება.

10-დან 1-ზე მეტ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს:

- დადლილობის შეგრძნება
- სისუსტე, შეშუპება სიწითლე ან ქავილი მკლავში ვაქცინის გაკეთების ადგილას.
- თავის ტკივილი
- გადიდებული ილღის ლიმფური კვანძები ინექციის გაკეთების მხარეს.
- კუნთების ტკივილი
- სახსრების ტკივილი
- გულისრევა ან ღებინება
- ცხელება (სიცხე - 38 გრადუსი ცელსიუსით ან მეტი)

ბელის დამბლა იშვიათი გვერდითი ეფექტია, რომელიც 10,000-დან 1-ზე მეტ ადამიანს აღენიშნება. იშვიათად, იმ ადამიანებს, რომლებსაც სახეზე ფილერი აქვთ გაკეთებული, შესაძლოა სახე შეუშუპდეთ. ეს გვერდითი ეფექტი 10,00-დან 1-ზე მეტ ადამიანს აღენიშნება.

აცრებზე სერიოზული გვერდითი ეფექტები, როგორცაა ალერგიული რეაქცია, ძალიან იშვიათია, გამოვლენილია დაახლოებით 1 ადამიანი მილიონში. თქვენმა ვაქცინატორმა გაიარა სათანადო მომზადება იშვიათი სერიოზული ალერგიული რეაქციების სამკურნალოდ.

COVID-19 ვაქცინამ იგივე კლინიკური კვლევები და უსაფრთხოების შემოწმებები გაიარა, რაც ყველა სხვა ლიცენზირებულმა ვაქცინებმა. თუმცა, ეს ვაქცინა ახალია და ინფორმაცია მისი გრძელვადიანი გვერდითი ეფექტის შესახებ შეზღუდულია.

უფრო მეტი ინფორმაცია გვერდითი ეფექტების შესახებ ხელმისაწვდომი გახდება, როცა მეტი ადამიანი გაიკეთებს ვაქცინას ირლანდიასა და მთელ მსოფლიოში. HSE ამ ინფორმაციას რეგულარულად ჩვენს ვებ-გვერდზე განაახლებს და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ცვლილებებს საინფორმაციო ბუკლეტებშიც შეიტანს, რომლებსაც ურიგებენ ადამიანებს ვაქცინის პირველი ან მეორე დოზის გაკეთების დროს.

ცხელება ვაქცინის გაკეთების შემდეგ

ვაქცინაციის შემდეგ საკმაოდ ხშირად ვითარდება ცხელება. როგორც წესი, ის ვაქცინის გაკეთებიდან ორ დღეში (48 საათში) ჩნდება და ორი დღის განმავლობაში ქრება. უფრო მაღალი ალბათობით, ცხელება შეიძლება ვაქცინის მეორე დოზის გაკეთების შემდეგ განგივითარდეთ. თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ, მიიღეთ პარაცეტამოლი ან იბუპროფენი კოლოფზე ან ბუკლეტზე მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად. თუ შემოფოთებული ხართ, რჩევისთვის მიმართეთ ექიმს.

შეიძლება თუ არა COVID-19-ის ვაქცინამ გამოიწვიოს COVID-19?

არა. COVID-19-ის ვაქცინა არ იწვევს COVID-19-ს. შესაძლებელია, რომ COVID-19-ით დაავადდით ვაქცინის გაკეთებამდე და ვაქცინის გაკეთების დროს არ იცოდით, რომ სიმპტომები გქონდათ.

თუ COVID-19-ის ნებისმიერი საერთო სიმპტომი გაქვთ, აუცილებლად მოახდინეთ თვითიზოლაცია (დარჩით თქვენს ოთახში) და ჩაიტარეთ COVID-19-ზე უფასო ტესტი.

თუ ცხელება გაქვთ, რომელიც ვაქცინის გაკეთებიდან ორ დღეზე მეტი ხნის შემდეგ იწყება ან ორ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, უნდა მოახდინოთ თვითიზოლაცია და სთხოვოთ ოჯახის ექიმს COVID-19-ზე უფასო ტესტის ჩატარება.

თუ სიმპტომები პირველი დოზის შემდეგ გაქვთ, მეორე დოზა მაინც უნდა გაიკეთოთ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი დოზა გარკვეულწილად გიცავთ, მეორე დოზა ვირუსის წინააღმდეგ ყველაზე კარგად დაგიცავთ.

არიან თუ არა ადამიანები, რომლებმაც არ უნდა გაიკეთონ COVID-19-ის ვაქცინა?

დიახ. COVID-19-ის ვაქცინა არ უნდა გაიკეთოთ, თუ:

- ❑ ვაქცინის რომელიმე ინგრედიენტზე მწვავე ალერგიული რეაქცია გქონდათ (მათ შორის, პოლიეთილენ გლიკოლი). ინგრედიენტების ჩამონათვალის სანახავად წაიკითხეთ პაციენტის საინფორმაციო ფურცელი.
- ❑ ვაქცინის წინა დოზაზე მწვავე ალერგიული რეაქცია გქონდათ.

თუ ადრე ნებისმიერ სხვა ვაქცინაზე ან ინექციურ თერაპიაზე უეცარი ალერგიული რეაქცია გქონდათ, ნემსით თერაპია ან პოლიზორბატი 80, უნდა აცნობოთ თქვენს ექიმს COVID-19 ვაქცინის გაკეთებამდე.

ადამიანების უმრავლესობა ვაქცინის უსაფრთხოდ გაკეთებას შეძლებს. პირი, რომელიც ვაქცინას ვიკეთებთ, ვაქცინის გასაკეთებლად თქვენი ვიზიტის დროს სიამოვნებით უპასუხებს თქვენს ყველა შეკითხვას.

ასევე გადმოგეცემთ ბუკლეტი ვაქცინის შემდეგ მოვლის რეკომენდაციით და ვაქცინის აღრიცხვის ბარათს, სადაც ეწერება თქვენს მიერ მიღებული ვაქცინის დასახელება და პარტიის ნომერი.

უნდა გავიკეთო თუ არა COVID-19 -ის ვაქცინა, თუ მაღალი სიცხე მაქვს?

არა. თუ ცხელება გაქვთ (სიცხე 38 გრადუსი ცელსიუსით ან მეტი), ვაქცინის გაკეთება უნდა გადადოთ, სანამ არ გამოჯანმრთელდებით.

უსაფრთხოა თუ არა ვაქცინის გაკეთება ორსულობის ან ძუძუთი კვების დროს?

არ არსებობს ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ COVID-19-ის ვაქცინა ფეხმძიმეებისთვის უსაფრთხო არ არის.

ვაქცინა არ იყო ფართოდ შემოწმებული ფეხმძიმე ქალებზე, ამიტომ არსებული მონაცემები ამ დროისთვის შეზღუდულია.

თუ ხართ სამედიცინო მუშაკი ან რისკის ჯგუფში შედიხართ და ხართ ფეხმძიმე, COVID-19-ის ვაქცინის გაკეთების საკითხზე უნდა გაესაუბროთ თქვენს გინეკოლოგს ან ოჯახის ექიმს. COVID-19-ის ვაქცინის გაკეთება შეგიძლიათ ძუძუთი კვების პერიოდში.

რამდენი ხანია საჭირო იმისთვის, რომ ვაქცინამ იმოქმედოს?

ვაქცინის ორივე დოზის გაკეთების შემდეგ, ბევრ ადამიანს გამოუმუშავდება იმუნიტეტი. ეს ნიშნავს, რომ ისინი COVID-19-ისგან დაცული იქნებიან.

ვაქცინა იმოქმედებს მეორე დოზის გაკეთებიდან 14 დღეში.

ვაქცინის გაკეთების შემთხვევაში, არსებობს შანსი, რომ მაინც დაავადდეთ COVID-19-ით.

ვაქცინა ყველაზე მოქმედებს?

ვაქცინა 18 წლის და მათზე უფროს ადამიანებზე შემოწმდა. არსებული მონაცემებით, ვაქცინა 94%-ით იცავს იმ ადამიანებს, ვინც ის გაიკეთა.

თუ დაქვეითებული იმუნური სისტემა გაქვთ, ვაქცინის გაკეთების დამატებითი რისკი არ არსებობს, თუმცა თქვენთვის ის შეიძლება ნაკლებად ეფექტური იყოს.

როგორ მივაწოდო ინფორმაცია გვერდითი ეფექტების შესახებ?

როგორც ყველა სხვა ვაქცინის შემთხვევაში, საექვო გვერდითი ეფექტების შესახებ შეგიძლიათ შეატყობინოთ სამკურნალო საშუალებების მარეგულირებელ სააგენტოს (HPRA).

HPRA ირლანდიის რესპუბლიკაში მედიკამენტების, სამედიცინო მოწყობილობებისა და სხვა სამკურნალო საშუალებების მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს.

მედიკამენტების უსაფრთხოების კონტროლის ფარგლებში, HPRA იყენებს სისტემას, რომლის მეშვეობით სამედიცინო სპეციალისტებს ან საზოგადოების წევრებს ირლანდიაში შეუძლიათ მედიკამენტებსა და ვაქცინებთან დაკავშირებული საექვო არასასურველი რეაქციების (გვერდითი ეფექტების) შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

HPRA დაჟინებით მოუწოდებს ყველას, რომ მიაწოდონ ინფორმაცია COVID-19-ის ვაქცინებთან დაკავშირებული საექვო არასასურველი რეაქციების (გვერდითი ეფექტების) შესახებ, მათი უსაფრთხო და ეფექტური გამოყენების უწყვეტი მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. COVID-19 ვაქცინის საექვო არასასურველი რეაქციის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, გთხოვთ, ეწვიოთ ვებ-გვერდს:

www.hpra.ie/report.

ასევე შეგიძლიათ სთხოვოთ თქვენს ექიმს ან ოჯახის წევრს, მიაწოდონ აღნიშნული ინფორმაცია თქვენი სახელით. მაქსიმალურად მიუთითეთ ყველაფერი, რაც თქვენთვის ცნობილია, მათ შორის, თუ შესაძლებელია, ვაქცინის პარტიის ნომერი.

The HPRA ვერ გასცემს კლინიკურ რჩევებს ცალკეულ შემთხვევებზე. ნებისმიერი სამედიცინო პრობლემის შემთხვევაში, საზოგადოების წევრები უნდა დაუკავშირდნენ სამედიცინო სპეციალისტებს (თავიანთ ექიმს ან ფარმაცევტს).

ვაქცინის გაკეთების შემდეგ რამდენ ხანს შევინარჩუნებ იმუნიტეტს?

ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენ ხანს შევინარჩუნებთ იმუნიტეტს. ამის გასარკვევად მიმდინარეობს კლინიკური ცდები.

როცა ვაქცინას გავიკეთებ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ COVID-19-ს სხვებს არ გადავდებ?

ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, აჩერებს თუ არა ვაქცინა COVID-19 ვირუსის სხვებზე გადაცემას. ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოების რეკომენდაციების შესრულება ვირუსის გავრცელების შეჩერებასთან დაკავშირებით. კერძოდ, თქვენ მაინც უნდა:

- დაიცვათ სოციალური დისტანციის წესები (სადაც შესაძლებელია დაიცავით ორმეტრიანი დისტანცია)
- ატაროთ პირბადე
- დაიბანოთ ხელები რეგულარულად.

HSE, ჯანდაცვის დეპარტამენტი და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მოსახლეობას რეკომენდაციას აძლევს, რომ გაიკეთონ COVID-19-ის ვაქცინა, როცა მას შესთავაზებენ. გმადლობთ, რომ იცავთ საკუთარ თავსა და სხვებს.

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის, გაეცანით პაციენტის საინფორმაციო ბროშურას. ის ამობეჭდილი იქნება თქვენთვის ვაქცინის გაკეთების დღეს, ან მისი ნახვა შეგიძლიათ ვებ-გვერდზე: www.hse.ie/covid19vaccinePIL

ასევე შეგიძლიათ ესაუბროთ სამედიცინო სპეციალისტს, მაგალითად, თქვენი ოჯახის ექიმს, ფარმაცევტს ან სამედიცინო პერსონალს.

შეგიძლიათ ეწვიოთ HSE ვებ-გვერდს მისამართზე www.hse.ie/covid19vaccine, ან დაუკავშირდეთ HSElive-ს ნომერზე **1850 24 1850**.

COVID-19-ის ვაქცინის შესახებ მეტი ინფორმაციის, მათ შორის სხვა ფორმატში არსებული მასალების და თარგმანის მისაღებად, ეწვიეთ ვებ-გვერდს HSE.ie/covid19vaccinematerials

თქვენი პირადი ინფორმაცია

HSE თქვენს პირად ინფორმაციას დაამუშავებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ვაქცინის უსაფრთხოდ გაკეთება და ვაქცინის კონტროლისა და მართვისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაციის აღრიცხვა.

HSE ყველა ინფორმაციას დაამუშავებს საერთო კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) შესაბამისად, რომელიც ძალაში 2018 წელს შევიდა.

თქვენი მონაცემები კანონიერების და სამართლიანობის პრინციპების დაცვით დამუშავდება. მათი დამუშავება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ვაქცინაციების მართვის მიზნით. გამოყენებულია მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ აღრიცხული იქნება მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც საჭიროა თქვენი ვინაობის დადგენის, ვიზიტის დანიშვნის, ვაქცინაციის აღრიცხვის და მისი ეფექტების კონტროლის მიზნით.

GDPR-ის შესაბამისად, როგორც მონაცემთა სუბიექტს, თქვენს პირად ინფორმაციასთან მიმართებაში, რომელიც უნდა დამუშავდეს, თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

- მოითხოვთ ინფორმაცია და წვდომა თქვენს პირად მონაცემებზე (საყოველთაოდ ცნობილი, როგორც „მონაცემთა სუბიექტის მიერ წვდომის მოთხოვნა“). ეს საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ ჩვენს ხელთ არსებული თქვენი პირადი მონაცემების ასლი და შეამოწმოთ, ვამუშავებთ თუ არა მათ კანონიერად.
- მოითხოვთ ჩვენს ხელთ არსებული თქვენი პირადი მონაცემების შესწორება. ეს საშუალებას გაძლევთ მოითხოვოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული არასრული ან არაზუსტი ინფორმაცია ჩასწორდეს.
- მოითხოვთ თქვენი პირადი მონაცემების წაშლა. ეს საშუალებას გაძლევთ მოითხოვოთ პირადი მონაცემების წაშლა ან ამოღება, თუ მისი დამუშავების გაგრძელების საფუძველი არ არსებობს. ასევე უფლება გაქვთ მოითხოვოთ თქვენი პირადი მონაცემების წაშლა ან ამოღება იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენეთ მონაცემების დამუშავებაზე წინააღმდეგობის გაწევის უფლება.
- წინააღმდეგობა გამოთქვათ პირადი მონაცემების დამუშავებაზე.

უფრო მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.HSE.ie/eng/gdpr



**COVID-19
VACCINE**
Public Health
Advice

გამოქვეყნებულია HSE - ის მიერ
2021 წლის 10 თებერვალი



Rialtas na hÉireann
Government of Ireland